


ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
III ტური
2021 წელი

ინსტრუქცია



თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. რელიეფის რომელი ფორმა წარმოიქმნება წყლის მოქმედებით?
 - ა) ტროგი;
 - ბ) კანიონი;
 - გ) დიუნა;
 - დ) მორენა.
2. რა ტენდენცია შეინიშნება საქართველოს თანამედროვე მყინვარებთან მიმართებით ბოლო 100 წლის განმავლობაში?
 - ა) მყინვარების საერთო ფართობის შემცირების მიუხედავად, მათი რაოდენობა უცვლელია;
 - ბ) მყინვარების საერთო ფართობის ზრდის მიუხედავად, მათი რაოდენობა მცირდება;
 - გ) იზრდება, როგორც მყინვარების საერთო ფართობი, ასევე, მათი საერთო რაოდენობა;
 - დ) მცირდება, როგორც მყინვარების საერთო ფართობი, ასევე, მათი საერთო რაოდენობა.
3. ყურადღებით გაანალიზეთ ილუსტრაცია და განსაზღვრეთ რომელია მართებული მსჯელობა?



- ა) მყინვარების არსებობას განაპირობებს უხვი მდინარეული ქსელი;
- ბ) უდაბნოს წარმოქმნას ხელს უწყობს ცივი ოკეანური დინება;
- გ) ტროპიკული ტყეების გავრცელებას განაპირობებს ოკეანესთან სიახლოვე;
- დ) მდინარეული ქსელის სიხშირე განაპირობებს ატმოსფერულ ნალექებს.

4. (2 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:




4.1. მოცემული ილუსტრაციების საფუძველზე განსაზღვრეთ რომელია მცდარი მსჯელობა:

- ა) ბერგენში ნალექების ყველაზე ნაკლები რაოდენობა გაზაფხულზე მოდის;
- ბ) ბერგენში ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უფრო მაღალია, ვიდრე უაიტკორსში;
- გ) უაიტკორსში ნალექების პიკი ზაფხულის მიწურულშია;
- დ) ორივე დასახლებულ პუნქტში ივლისის წელიწადის ყველაზე თბილი თვეა.

4.2. ჩამოთვლილთაგან, რა განაპირობებს ამ ორ დასახლებულ პუნქტში განსხვავებულ კლიმატურ მაჩვენებლებს?

- ა) თბილი ოკეანური დინების ზემოქმედება;
- ბ) ერთი და იმავე გეოგრაფიულ განედზე მდებარეობა;
- გ) მზის სხივის დაცემის კუთხე;
- დ) განსხვავებული სანაპირო ზოლი.

5. (2 ქ.) გაანალიზეთ ქ. ვაშინგტონის მოცემული რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



5.1. 2018 წლის 28 აგვისტოს 15 საათზე, დაახლოებით რას უტოლდებოდა ქ. ვაშინგტონში ყველაზე ცხელ და გრილ ადგილებს შორის ტემპერატურის სხვაობა?

- ა) 0,8 °C-ს;
- ბ) 1,3 °C-ს;
- გ) 5,4 °C-ს;
- დ) 9,2 °C-ს.

5.2. რომელი მცდარი მსჯელობა მოცემული რუკიდან გამომდინარე:

- ა) 28 აგვისტოს 15 საათზე ყველაზე ცხელი უბნებია ბრუკლენდი, კოლუმბია-ჰაიტსი და ბრაიტვუდი;
- ბ) ქალაქის მკვრივი და მუქი ზედაპირი, როგორცაა ასფალტი და ბეტონი, შთანთქმავს და გამოყოფს სითბოს;
- გ) ქალაქში არსებული ფართოფოთლოვანი ტყე-პარკები ადვილად ატარებენ მზის სხივებს, რის გამოც აქ აღინიშნება ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 38,85°C;
- დ) 28 აგვისტოს 15 საათზე ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა როკ-კრიკ-პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირდა.


➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 6-9

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

6. (5 ქ.) ილუსტრაციაზე ასოებით აღნიშნულ ოკეანის ფსკერის რელიეფის შემადგენელ ნაწილებს ცხრილში მიუწერეთ შესაბამისი სახელწოდებები:

ა	
ბ	
გ	
დ	
ე	
	ნიმუში:
ვ	კუნძული



7. (7 ქ.) მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

	ფოტო	სახელმწიფო	ქალაქი
ნიმუში:	 <p>ოპერის თეატრი</p>	ავსტრალია	სიდნეი
1	 <p>ერმიტაჟი</p>		

2



პრადოს მუზეუმი

3



სამეფო ოპერის თეატრი (კოვენტ გარდენი)

4



უფიცის გალერეა

5



მეტროპოლიტენ-ოპერა

6









ლა სკალა

7









ოპერა გარნიე (გრანდ-ოპერა)

8. (5 ქ.) მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

№	ჰიდროტექნიკური ნაგებობა	წყალსაცავის სახელწოდება	მდინარე რომელზეც მდებარეობს
ნიმუში:		<p><i>ალგეთის წს.</i></p> 	<p><i>მდ. ალგეთი</i></p>
1			
2			

3			
4			
5			


9. (5 ქ.) მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

№	ღირსშესანიშნაობის ფოტო	ღირსშესანიშნაობის სახელწოდება	სახელმწიფო ან ქალაქი სადაც იგი მდებარეობს
ნიმუში:		<p><i>ჩრდილოეთის (კირჩხიბის) ტროპიკი</i></p> 	<p><i>ჩინეთი / ქ. მოცზიანი</i></p>
	1		
2			

3



4



5



➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 10-13

ინსტრუქცია

გაანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

10. (2 ქ.) მოცემული ფოტოებიდან რომელია გადაღებული ზღვის სანაპიროზე? პასუხი დაასაბუთეთ.



11. (2 ქ.) ილუსტრაციების გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:




11.1. (1 ქ.) რა ეწოდება ფოტოებზე გამოსახულ საინჟინრო ნაგებობას?

11.2. (1 ქ.) რა დანიშნულება აქვს აღნიშნულ საინჟინრო ნაგებობას?


12. (5 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

დღეს გეოლოგიაში საყოველთაოდ მიღებულ „ფილების ტექტონიკის“ თეორიას საფუძვლად უდევს გერმანელი გეოფიზიკოსისა და მეტეოროლოგის ალფრედ ვეგენერის (1880-1930 წწ.) თეორია, რომლის თანახმად თანამედროვე კონტინენტები თავდაპირველად ქმნიდნენ ერთ სუპერკონტინენტს. ამ სუპერკონტინენტის სახელწოდება ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „მთელი დედამიწა“.

მილიონობით წლის განმავლობაში ეს კონტინენტი განიცდიდა დაშლას, რის შედეგადაც ჯერ ორი დიდი კონტინენტი - გონდვანა და ლავრაზია ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ, მათი დაშლის შედეგად დედამიწამ დღევანდელი სახე მიიღო.



225 მილიონი წლის წინ



200 მილიონი წლის წინ

12.1. (1 ქ.) რა სახელით არის ცნობილი ალფრედ ვეგნერის თეორია?

12.2. (1 ქ.) რას უწოდებენ თავდაპირველ სუპერკონტინენტს?

12.3. (2 ქ.) სქემაზე ციფრებით აღნიშნულია გონდვანას ნაწილები, რომლებიც ლითოსფეროს ფილების მოძრაობის შედეგად გამოეყო მას და მიუერთდა ლავრაზიას. რომელი გეოგრაფიული ობიექტებია ისინი დღეს?

(1)-----

(2)-----


12.4. (1 ქ.) თანამედროვე კონტინენტები შეუსაბამეთ ლავრაზიას და გონდვანას:

ლავრაზია	გონდვანა

13. (7 ქ.) გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

1832 წლის 20 აგვისტოს დევდორაკის მყინვარიდან მოწყვეტილმა ყინულის მასამ და ქვის ლოდებმა 100 მეტრის სიმაღლის ხერგილი წარმოქმნა, რომელმაც მდინარე გადაკეტა და რამდენიმე საათით შეაჩერა. მოგვიანებით წყლის დონემ 80-90 მეტრს მიაღწია, ყინულის ხერგილი გაარღვია და გეზი ხეობის მიმართულებით აიღო. მდინარის წყლის, ყინულისა და ქვა-ღორღის მასამ მნიშვნელოვნად დააზიანა კავკასიაში მდებარე რუსეთის იმპერიის მთავარი სატრანსპორტო არტერია და ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. სტიქიურ მოვლენას დიდი მსხვერპლი მოჰყვა, ხოლო ხეობაში სატრანსპორტო მიმოსვლა ორი წლით შეწყდა.

მდინარის ხეობაში ზემო ლარსის დასახლების მახლობლად მდებარეობს უზარმაზარი ქვის ლოდი, რომელიც „ერმოლოვის ქვის“ / „მოგზაური ქვის“ სახელით არის ცნობილი და ამ ტიპის ქვებს შორის ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში.



XIX ს-ის ფოტო



XXI ს-ის ფოტო

13.1. რომელ მასივში მდებარეობს ტექსტში ნახსენები დევდორაკის მყინვარი?

- ა) ჭაუხის;
- ბ) ყუროსწვერის;
- გ) ზილგახოხის;
- დ) მყინვარწვერის.

13.2. რა ტიპის სტიქიური მოვლენა განვითარდა მდინარის წყლის მიერ ნაზვავი ჯებირის გარღვევის შემდეგ?

- ა) თოვლის ზვავი;
- ბ) ქვათაცვენა;
- გ) გლაციალური ღვარცოფი;
- დ) ლავური ნაკადი.

13.3. (2 ქ.) რომელი მდინარის ხეობაში განვითარდა სტიქიური მოვლენა და რა ქვია ხეობის ამ მონაკვეთს?

13.4. (1 ქ.) რომელი ქალაქი დაზარალდა ტექსტში აღწერილი სტიქიური მოვლენის შედეგად?

13.5. (1 ქ.) რა სახელით არის ცნობილი ტექსტში ნახსენები მთავარი სატრანსპორტო არტერია?

13.6. (1 ქ.) აღწერეთ, როგორ აღმოჩნდა „ერმოლოვის ქვა“ / „მოგზაური ქვა“ ხეობაში, წარმოშობის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრში?